

ახალი ამბები

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ მაჟორიტარობის კანდიდატებთან შეხვედრა გამართა

თბილისი.16.05.08.მედიანიუსი. დღეს სასტუმრო „ვერე პალასში“ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ინიციატივით, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრა გაიმართა. მიწვეული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არასამთავრობო ორგანიზაციებს გარემოს დაცვის კუთხით შექმნილ პრობლემებზე ესაუბრნენ.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ თავმჯდომარის მანანა ქოჩლაძის განცხადებით, პროექტი „ჰკითხე კანდიდატს“ ერთი თვის წინ დაიწყო. ამ ერთი თვის განმავლობაში თითოეულ პარტიასთან ასოციაციამ ინტერვიუები მოამზადა, გაანალიზა მათი პლატფორმები და ასევე შეეცადა, რომ არასამთავრობოებსა და პარტიებს შორის შეხვედრები გამართულიყო. ამ პროექტის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ესა თუ ის მაჟორიტარობის კანდიდატი რას შეგვიპირდება და მომავალში რამდენად განახორციელებს თავის დანაპირებს.

მანანა ქოჩლაძის თქმით, „ჰკითხე კანდიდატს“ პროექტი საქართველოში პირველია, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ყველა იმ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობას თვალყურს მიადევნებს.